სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება №455
(ოქმი №407)

თბილისი 2019 წლის 12 ივნისი

ა(ა)იპ "საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი"-ს საჩივრის
დაკმაყოფილების შესახებ

ა/წ 15 მაისს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში – სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოში ა(ა)იპ "საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი"-ს მიერ წარმოდგენილი იქნა საჩივარი, რითაც აღნიშნული ორგანიზაცია ითხოვს გადაიხედოს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 1 მაისის გადაწყვეტილება და დაკმაყოფილდეს ორგანიზაციის საჩივარი (თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარდგენილი 2019 წლის 12 აპრილს); დადგინდეს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-12 მუხლის, მე-13 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, მე-15 მუხლის, მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გავრცელებულ სადავო ჩანაწერებთან მიმართებით და დაევალოს სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" გავრცელებული ინფორმაციის - "ღია საზოგადოების ფონდმა დამალა კვლევის შედეგები" - უარყოფა.

საბჭომ იმსჯელა საჩივართან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ 2019 წლის 03 აპრილს 12:00 და 15:00 საათიან მოამბეში ფონდის პრეზენტაციასთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია იყო შეცდომაში შემყვანი და ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ფონდმა დამალა ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებელს. სამეურვეო საბჭო თვლის, რომ დარღვეულია მაუწყებლის ქცევის კოდექსით დადგენილი ჯეროვანი სიზუსტის პრინციპი და შესაბამისად ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ "საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი"-ს საჩივარი;

2. წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოოა და სასამართლოში ან/და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში არ საჩივრდება.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ირინა ფუტკარაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

ბესიკ ლილუაშვილი

ქეთევან მსხილაძე

ნინო-ნინია კაკაბაძე

გიორგი ნიჟარაძე

იზაბელა ოსიპოვა

ირაკლი პაპავა

გიორგი იაკობაშვილი

მიხეილ ჩიკვილაძე